საიუბილეო წლის გეგმა და ბიუჯეტი

სსრ კავშირის მეთვალყურეობის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, რომელმაც მუშაობა დაამთავრა, განიხილა სეთმწყობის მეორე წლის დიდმნიშვნელოვანი კომპლექსები.

1967 წლის გეგმების მთავარი ამოცანებია მრეწველობის ყველა დარგის თანმიმდევრული განვითარება, სოფლის მეურნეობის აღმავლობის შემდგომი უზრუნველყოფა.

სახალხო მეურნეობის 1967 წლის სახელმწიფო გეგმის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მასში დასახულია მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე და თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთიუბილეო წლის გეგმა და ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

ა. ნ. კოსიგინი ანკარაში

20 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით მოსკოვიდან ანკარაში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა საქართველოს სსრ კავშირის ministrთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ა. ნ. კოსიგინთან ერთად თურქეთში ჩავიდნენ უკრაინის სსრ ministrთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი, უზბეკეთის სსრ ministrთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ბეისეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ministrის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ministrთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც ორთული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი თანამგზავრები გაიცილეს გ. ი. ვორონოვმა, ა. ა. კირილენკომ, კ. ტ. მაზუროვმა, ი. ა. პელშემ, სსრ კავშირის ministrთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ბ. ე. დომინგასმა, ვ. ტ. ეფერემოვმა, ვ. ა. კირილინმა, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ი. ტ. ნოვიკოვმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის ministrებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ თურქეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში დ. თურგანი, თურქეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, ჟურნალისტები. (საკდესი).

ანკარა, 20 დეკემბერი. (საკდესი). ეს ანკარაში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა სსრ კავშირის ministrთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ანკარის ესენბოგის აეროდრომზე, რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა ხტუმარს შეხვდნენ თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-ministრი სულეიმან დემირელი, თურქეთის მთავრობის წევრები და სხვა პასუხისმგებელი პირები. დიპლომატიური კორპუსის წევრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი თურქეთში ა. ა. სმირნოვი და საბჭოთა კორესპონდენტი.

პრემიერ-ministრმა სულეიმან დემირელმა ა. ნ. კოსიგინს წარუდგინა მთავრობის წევრები.

ორი მთავრობის მეთაურები ტრიბუნაზე ავიდნენ. გიიჰის საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ბანატიკი ყარაულის ჩამოვლის შემდეგ პრემიერ-ministრმა სულეიმან დემირელმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა მთავრობის მეთაური.

მიკროფონთან მივიდა ა. ნ. კოსიგინი და წარმოთქვა სიტყვა. ამის შემდეგ ა. ნ. კოსიგინი სულეიმან დემირელთან ერთად წავიდა მისთვის მიუთვნილ რეზიდენციაში — საგანგებო საქმეთა სამინისტროს სახლში. ანკარის მთავარი ქუჩა — ათათურქის გზა, შვიდი დისკილომეტრის, გამოყენებულ ჩაიარეს, მორთულია საბჭოთა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, აგრეთვე პლაკატებით, რომლებზეც წარწერილია: „ხოშ გელდინიზ“ (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება). თურქეთის დედაქალაქის მცხოვრებნი ვულთბილად მიეგებნენ საბჭოთა სტუმრებს.

საახალწლო ნობათები

⊙ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გეგმის გადამეტებით 1.500 ცენტნერი თამბაქოს დამზადებას ითვალისწინებდა. 16 დეკემბრისათვის სახელმწიფოსათვის მიყიდული იყო 7.904 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.400 ცენტნერისა.

გეგმის გადამეტებით თამბაქოს ჩაბარებაში თავი ჩამოთვალეს ფახრალოს, სარაჩლოს, იმირასანის, ქოშაქილისის, ზემო ქოშაქილისის, აბდალოს, მუშევანის, ქოჩულოს კოლმეურნეობებმა და ბოლნისის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობამ. სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვა გრძელდება. ამ წარმატებათა შესახებ გვატყობინებენ პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი შ. სანიკიძე, რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ალიევი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. გელური.

⊙ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სამტრედიის რაიონის მშრომელები ენერგიულად შრომობენ, წარმატებებით ხვდებიან ახალ სამეურნეო წელს, — აცნობეს „პრესინფორმს“ რედაქციას პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიქოვანმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მანჯგალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ქართველიშვილმა. 15 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 859 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 805 ტონისა, 1.735 ტონა რძე ნაცვლად 1.536 ტონისა. სახელმწიფოსათვის მიყიდულია 3.443 ტონა ხილი. გეგმა კი 2.480 ტონას ითვალისწინებდა. 165 ტონა დაფნის ფოთლის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 203 ტონა; ნაცვლად 660 ტონა მარცვლეულისა — 775 ტონა. გადაჭარბებით აჩის შესრულებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები.

სამტრედიელმა მშრომელებმა დათესეს 1.057 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი ნაცვლად 642 ჰექტარისა. მზრალად მოხნულია 1.695 ჰექტარი ნაცვლად 1.300 ჰექტარისა. შესრულებულია ხეხილის ბაღის, ვენახის, ჩაის პლანტაციის, თუთის პლანტაციის გაშენების გეგმები.

⊙ ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, წარმატებით ამთავრებენ ხუთწლედის პირველ წელს.

ქალაქის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა თერთმეტი თვის დავალება და განვლილ პერიოდში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 3 მილიონ 648 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია.

16 საწარმომ, მათ შორის „ქუთაისარიტის“ მაღაროთა სამმართველომ, რიონჰესის კასკადმა, რკინაბეტონის, ლუდის, რძის, ხილეული წყლების ქარხნებმა, ბამბეულის საქსოვი, ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის, მეორადი ნედლეულის ფაბრიკებმა, ხორცკომბინატმა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა, სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის გეგმა.

⊙ თბილისი. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა ჩხარის ბატაკისა და კედლის ფილების ქარხნის კოლექტივმა. მან ვადამდე შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის დავალება და სამშობლოს მისცა 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ახლა ქარხანა საიუბილეო წლის ანგარიშში მუშაობს.

მომავალი წლის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტმა, რომელიც ჩაბმულია დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მორიგი შრომითი წარმატება მოიპოვა — ვადაზე 21 დღით ადრე დაიწყო ახალი, 1967 სამეურნეო წელი.

წელს ორჯონიკიძელებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში, განვლილ თერთმეტ თვეში თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 8,9 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოპოვებული ქვანახშირის ხარისხი. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 12 კაპიკით გაიაფდა, რითაც მიღწეულია 37.500 მანეთის ეკონომია.

მოწინავე შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა სამეურნეო წლის დარჩენილ დროში ამოიღოს და რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს გაუგზავნოს 55 ეშელონი „შავი ოქრო“.

ფართო გზა — თესლბრუნვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მასალები ბოლნისის რაიონის და ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შიდასამეურნეო მეწყობიანობა და თესლბრუნვის განხორციელების შესახებ. მეურნეობის მიწათმოქმედების პროექტი შეადგინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების საპროექტო ინსტიტუტმა და განიხილა საბჭოთა მეურნეობის აქტივთან ერთად.

ეს ღონისძიება მოწონებულ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მიერ, ხოლო ამ დღეებში აღნიშნულ მეურნეობაში მოიწყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის გამსვლელი სხდომა, რომელმაც საქმიანად განიხილა შიდასამეურნეო მიწათმოწყობის, თესლბრუნვის დანერგვის საკითხი და მოიწონა ბოლნისელთა წამოწყება. იგი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ფართოდ გავრცელების ღირსია.

ჩვენს რესპუბლიკაში შიდასამეურნეო მიწათმოწყობა თესლბრუნვის შემოღებით ახალი საქმე როდია. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ამ ღონისძიებამ წლების მანძილზე ფრთები ვერ გაშალა. დარღვეული იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მონაცვლეობა. ამის გამო ძნელი პირობები შეიქმნა თესლბრუნვის დანერგვისათვის. თესლბრუნვის აღდგენა მხოლოდ ზოგიერთ რაიონშია შესაძლებელი. სწორედ ასეთი მდგომარეობით არის გამოწვეული ის, რომ საჭირო გახდა ჩვენს რესპუბლიკაში თესლბრუნვის ხელახლა შემოღება. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების მეობებით ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ უახლოეს წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დავნერგოთ სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული, მოწინავე გამოცდილებით დადასტურებული თესლბრუნვები.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შიდასამეურნეო მიწათმოწყობას, თესლბრუნვების შემოღებას. ამ საქმეში სერიოზული ღონისძიებებია დასახული. საკმარისია ითქვას, რომ ახალ ხუთწლედში თესლბრუნვების შემოღების სამუშაოები უნდა განხორციელდეს ჩვენი რესპუბლიკის 764 კოლმეურნეობაში და 36 საბჭოთა მეურნეობაში. ეს ამოცანები გვიკარნახებს, რომ წინასწარ შესწავლილ იქნას ნიადაგები 1.179 ათას ჰექტარზე. 1967 წელს უნდა განხორციელდეს ხარწყავი და დაშრობილი მიწების ერთდროული ინვენტარიზაცია, შემდეგ კი, მომდევნო წლებში, რესპუბლიკის მთელი მიწების ინვენტარიზაცია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ინსტრუქცია შიდასამეურნეო მიწათმოწყობისა და თესლბრუნვების შემოღების თაობაზე. ამით ადგილებზე იხელმძღვანელებენ. უნდა აღინიშნოს, რომ წინათ დამუშავებული თესლბრუნვების სქემები დღეს ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. უწინარეს ყოვლისა, მათი ნაკლი ის იყო, რომ ოფარგლებოდა მარტო მინდვრის თესლბრუნვებით. ახალი თესლბრუნვების სქემებში გათვალისწინებულია მინდვრის, საკვების, ბოსტნის, ეროზიის საწინააღმდეგო თესლბრუნვები სათანადო მითითებებით.

თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით აუცილებელია ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოება-მომარაგება. ამისათვის ნატანტარის საცდელ სადგურში (მცხეთის რაიონი) მოეწყობა იონჯის თესლის წარმოებისათვის სპეციალური თესლბრუნვები. აქედან ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობები ყოველწლიურად მიიღებენ ორმოცტონა თესლს. შიდასამეურნეო მიწათმოწყობა თესლბრუნვების შემოღებით დაწყებულია. ეს სამუშაო მომდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება 27 საბჭოთა მეურნეობასა და ერთ კოლმეურნეობაში. ამ დიდ საქმეში პირველი ნაბიჯები გადადგეს ბოლნისის, ბაშის, ნატახტარის, ტეხურის, ქვემოხმითის საბჭოთა მეურნეობებმა და თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობამ.

თუ რა სიკეთე მოაქვს თესლბრუნვის შემოღებას მოვიყვანთ ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის მაგალითს. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდისათვის ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შეიმუშავეს თესლბრუნვის გეგმა-სქემები. ეს მეურნეობა შეიქმნა 1961 წელს ხუთი კოლმეურნეობის ბაზაზე. ამჟამად მეურნეობის განკარგულებაშია 9.572 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

მეურნეობაში შიდასამეურნეო მიწათმოწყობა დამთავრდა. დაროექტებულია სამივე თესლბრუნვისათვის (რვამინდვრიანი, ხუთმინდვრიანი, შვიდმინდვრიანი თესლბრუნვა) შერჩეულია შესაბამისი მინდვრის მახვები, რომლებიც დაჭრილია თესლბრუნვით გათვალისწინებულ ცალკე შემოფარგლულ მინდვრებად. ყოველ ცალკეულ მინდორზე დადგმულია ცემენტის ბოძი წარწერით: რომელი თესლბრუნვაა, მინდვრის ნომერი, ფართობი. თესლბრუნვის სქემა მოიცავს 2,813 ჰექტარს.

თესლბრუნვების სრული ათვისების პერიოდში ვენახის ფართობი 920 ჰექტარს მიაღწევს, ხეხილის ბაღებისა — 200 ჰექტარს, მარცვლეული კულტურებისა — 3.000 ჰექტარს. ამ მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე ყურძნის მოსავალი მიაღწევს 60 ცენტნერს, ხოლო ყურძნის მთლიანი წარმოება — 5.466 ტონას. აქედან ფულადი შემოსავალი იქნება 2.411 ათასი მანეთი, ანუ მეურნეობის მთელი შემოსავლის 74,7 პროცენტი.

ეს ფაქტები იმის შესახებ ლაპარაკობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიდასამეურნეო მიწათმოწყობა, თესლბრუნვა დიდი პასუხსაგები და რთული საქმეა. ამ საკითხის წარმატებით გადაჭრა სერიოზულ შრომას, ცოდნას, ენერგიას მოითხოვს. საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ სწორი თესლბრუნვების შემოღებისათვის.

თესლბრუნვების შემოღებისათვის დასახულ ღონისძიებებთან დაკავშირებით აუცილებელია შესაბამისმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, ჩვენმა მეცნიერებმა, მოწინავე ადამიანებმა, სპეციალისტებმა აქტიური დახმარება გაუწიონ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სადაც უნდა მოეწყოს თესლბრუნვები.

კიდევ რამდენიმე დღე, და კარს შემოადგება ხუთწლედის მეორე საიუბილეო წელი. სოფლის მშრომელთა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სახელისა და ღირსების საქმეა ისე მოაწყონ საქმე, რომ წარმატებით დამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი, სწორად შეჯამონ გაწეული მუშაობის შედეგები, გათვალისწინონ წინა წლების ნაკლოვანებანი და მიაღწიონ ახალ წარმატებებს, ღირსეული საჩუქრებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 47-ე წელი | № 289 (13673) | ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ჰიროშიმა. (საკ. კორ.). ხიუბილეო შეჯიბრების ინიციატორების ავანგარდია კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. კალინინელებმა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთწლედის პირველი წლის დავალება შვიდი ნოემბრისათვის შეასრულეს, მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს ათეულობით ეშელონი ზეგეგმითი მარგანეცი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგეს 60.500 მანეთი.

თავდადებული შრომით თავი ისახელა მეშვიდე საწარმოო უბნის კოლექტივმა, რომელსაც შ. კაპანაძე უძღვება. აქ გონივრულად იყენებენ მძლავრ მექანიზმებს, ზეგეგმით მარგანეცს იძღვიან. მამაცურად შრომობენ ექსკავატორის მემანქანეები ნ. ხვედელიძე, ს. გაფრინდაშვილი, ვ. მირტაძე, მ. ბარბაქაძე, ბულდოზერის მემანქანეები მ. ხამფურაშვილი, ს. ცეცქირიძე და სხვები.

უბნის კოლექტივი, რომელიც კარგახანია კომუნისტური შრომის სახელს ატარებს, იბრძვის, რომ მომავალი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის შეასრულოს.

სურათებზე: მარცხნივ — კალინინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი ჯ. ხამფურაშვილი (მარჯვნივ) და მე-7 უბნის გამგე შ. კაპანაძე; მარჯვნივ — კალინინის სახელობის მე-7 საწარმოო უბნის მოსიარულე ექსკავატორის მემანქანე მ. ბარბაქაძე და მემანქანის თანაშემწე ი. ქანთარია ამოწმებენ ექსკავატორის ციცხვს.

ფოტო ა. შაჰვერდიანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

კარდიოლოგთა სრულიად საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 20 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს კრემლის თეატრში ვაიხსნა კარდიოლოგთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც მოიწვიე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და კარდიოლოგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოებამ.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ministrმა ა. ა. ეფიმოვიჩმა ბ. ვ. პეტროვსკის ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობა საბჭოთა მედიცინის ცხოვრების დიდი მოვლენაა — მიმდინარეობს ღირსშესანიშნავი დღეებში, როცა ჩვენი ხალხი ემზადება საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის აღსანიშნავად. მოკლედ დაახასიათა რა საბჭოური ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების წარმატებანი, მინისტრმა გულ-სისხლძარღვების დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ნომერი პირველი პრობლემა უწოდა. ახალმა სამკურნალო პრეპარატებმა, თქვა მან, დიაგნოსტიკის სრულყოფილმა მეთოდებმა, სპეციალურმა კარდიოლოგიურმა და კარდიო-ქირურგიულმა განყოფილებებმა, ინფარქტის საწინააღმდეგო ცენტრებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში გაჩენილ, შექმნეს პირობები გულსისხლძარღვებით დაავადებულთა ეფექტიანი მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ნ. ბლოხინი. მოხსენება „საბჭოთა კარდიოლოგიის 50 წლისთავი“ გააკეთა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. ე. ლუკომსკიმ.

განიხილავენ დებულებას, გეგმებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში

მიმდინარე წლის 17 და 19 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სხდომები.

სხდომებზე კომისიათა წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიათა დებულების პროექტის შესახებ, საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების მუშაობის 1967 წლის გეგმების შესახებ, კანონპროექტებზე შემდგომი მუშაობის წესის შესახებ.

გარდა ამისა, კომისიების სხდომებზე აირჩიეს კომისიათა თავმჯდომარეების მოადგილეები და მდივნები.

სამშობლოს ჯილდო

დამსახურებისათვის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათს დარაზმვაში და იმასთან დაკავშირებით, რომ გამოვიდა მეათეათასე ნომერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „სოვეტსკაია მოლდავია“ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. (საკდესი).

საგჭოთა კავშირის წითელი ჯვრის საპროტესტო დეკეშა

საგჭოთა ადამიანები მტკიცედ გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა მხეცურ აქციებს ვიეტნამში, რომლებიც საერთაშორისო სამართლის, ძეგლების, შეთანხმებებისა და კონვენციების, აგრეთვე წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციების გადაწყვეტილებათა აღმამფოთებელი, დარღვევაა, ნათქვამია საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის დეპეშაში, რომელიც 17 დეკემბერს გაგზავნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს ს. გონარს.

ამერიკის შეიარაღებული ძალები ვიეტნამში დაადგენენ ადამიანის უფლებათა აშკარა გათელვას, ადამიანური მორალისა და ჰუმანურობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების აშკარა და ცინიკური უგულებელყოფის გზას, ნათქვამია დეპეშაში. სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომი გამოთქვამს საბჭოთა წითელი ჯვრის მოლოდინობით წევრის ნებასურვილს და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი ამერიკის ავიაციის მიერ სუვერენული სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის მხეცური დაბომბვების შესაწყვეტად. (საკდესი).

კეთილმეზობლობის განვითარებისათვის

სტამბოლი, 20 დეკემბერი. (საკდესი). სტამბოლის დღევანდელი გაზეთების მთავარი თემაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში, რომელიც დღეს იწყება. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტს თითქმის ყველა გაზეთი უძღვნის მოწინავე სტატიას, აგრეთვე მრავალ მასალას საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის შესახებ.

ცნობილი თურქი ჟურნალისტი ნადირ ნადი გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ მოწინავე სტატიაში წერს, ეს ვიზიტი „სახავს იმის შესაძლებლობას, რომ თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა ვითარდებოდეს ნორმალური მიმართულებით, რომელიც შეესაბამება ჩვენი დროის მოთხოვნებს“. შემდეგ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელიც შექმნა 1917 წლის რევოლუციამ, და თურქეთის რესპუბლიკამ, რომელიც ანატოლიის რევოლუციის პირმშოა, 1920 წელს დაიწყეს ისეთი მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის პერიოდი, როგორიც შეუძლებელი იყო ცარიზმისა და სასულთანოს დროს.

ეს ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. მეგობრობას, რომელსაც საერთო მეცადინეობით ამყარებდნენ ანკარაში ათათურქი, ხოლო მოსკოვში ლენინი, საფუძვლად ედო თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლებიც გზას უნათებდნენ ახალგაზრდა ერებს... ათათურქისა და ლენინის საერთო მეცადინეობით ამ ქვეყნებმა პირველად დაამტკიცეს, რომ მშვიდობისა და მეგობრობის პირობებში ცხოვრება სასარგებლოა როგორც ორივე ქვეყნისათვის, ისე საერთაშორისო მშვიდობისათვის.

შემდეგ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე ქვეყანას აქვს საკუთარი პრობლემები, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მშვიდობის პირობებში. უთქვამია, წერს იგი დასასრულ, — რომ ორი ერის ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგში კვლავაც წარმატებით განვითარდება“.

გაზეთი „აქშამი“ წერს, რომ ა. ნ. კოსიგინის ვიზიტმ „შეუძლია მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით“.

გაუშვეს რაკეტა „კორალი“

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). რაკეტა „ევროპის“ მეორე საფეხურის „კორალის“ ექსპერიმენტული გაშვება, რომელიც ფრანგმა სპეციალისტებმა განახორციელეს ჰამაგირის პოლიგონიდან, წარმატებით დამთავრდა. ეს აღნიშნულია დღეს კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის სპეციალურ კომუნიკეში. გაშვება განხორციელდა ევროპის კოსმოსური რაკეტების შემუშავებლობისა და გაშვების ორგანიზაციის პროგრამის ფარგლებში.

ს. უილიამსის შიმშილობა

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ზედიზედ ხუთი დღეა, რაც 18 წლის სიუზანა უილიამსი განაგრძობს შიმშილობას ნიუ-იორკის ქალთა საპატიმროში. 59 ბებუკთან და ქალიშვილთან ერთად იგი დაპატიმრეს 15 დეკემბერს დემონსტრაციის დროს, რომელიც გიმართა პროტესტის ნიშნად ჰანოიზე ამერიკის აგრესიის თავდასხმის წინააღმდეგ. დემონსტრაცია მოეწყო ნიუ-იორკში ამერიკის არმიის გასაწვევი პუნქტის წინ. დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის 60 ახალგაზრდა ამერიკელს მოელის გასამართლება „წესრიგის დარღვევის“ ბრალდების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფიკს უსწრებენ

დღეს ამოქმედდება განახლებული აგრეგატი

ბუსთავის მეტალურგების ყველა ცეხში დღეს დგას საგანგებოდ „900/750“-ის რეკონსტრუქციაზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მასზე, საკმარისია ვთქვათ, რომ დგანის წარმოებაში გაიზრდება ერთიერთად, ამასთან ერთად სამუშაო პროცესი გახდება მექანიზებული და, რაც მთავარია, 270-დან 300-ამდე მეტალურგამდე გაიზრდება ნაგლეფიანობა.

დგანის რეკონსტრუქციის ძირითად ამოცანად აწარმოებს ამერიკელ-ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტებს № 1 ტრესტის კოლექტივი და მისი ქვემოიჯარადრე სამონტაჟო ორგანიზაციები.

ეგორეკ საგლინავი საამქროს უფროსი ბ. ზასლავსკი აღნიშნა, დგანის რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ 1965 წელს დაიწყო, ამავე წელს შეიძლებოდა, შეიძლებოდა, შეგვესრულებინა პირველი ეტაპი. ამიტომ მეორე რიგში საბოლოო სამუშაოები წარმოდამთავრდება თუ არა ეს სამუშაოები ოფიციალურად ათასობით ტონით გაიზრდება ეგრეგატის წარმადობა.

რეკონსტრუქციამ დიდძალი სამუშაოები მოითხოვა. ჩასხმულ იქნა ასობით ტონა ბეტონი და რკინაბეტონი, ამოქმედდა ასეულ ათასობით ახალი დანადგარ-მოწყობილობა. ეს ბუნებრივია, ეს ნიშნავს ორი საგალის, შვიდი დისკოხერხის, გამოფრანგგების, რამდენიმე ცალი ბუნ და სხვათა მონტაჟი. ამიტომ ბუნებრივია, ამ ადგილებში ადამიანებმა ბევრი ოფლი მიიღვაროს, ბევრი ენერგია, ბევრი ფიზიკური ბრძოლა მოუხდეს, ვიდრე ეს ადგილები ბოლოს ბოლოს ეფექტიანად ამუშავებენ.

ამ კითხვაზე ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე ასეთ პასუხს იძლევა: ამჟამად მართლაც საკმარისია. ადრე კი აქ მუშახელის ნაკლებობა ნამდვილად იგრძნობოდა, რაკი ნაკლოვანებებზე ვ
-პარაკობთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოები ერთობ გაჭიანურა ბრომველინტილაციის სამმართველომ (უბნის უფროსი გ. გრძელიშვილი). თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ იგი დროულად ვერ უზრუნველყო ყველა საჭირო მასალით ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ.

დგანის რეკონსტრუქცია ერთობ დაავადიანეს დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა — საქართველოს მძიმე მრეწველობის ელექტროპროექტისა და „გრუზგიპრომეზის“ ინსტიტუტებმა.

მაგრამ ყველა ეს ნაკლი დღეისათვის უკვე გამოსწორებულია. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მშენებელ-მემონტაჟეები ათდღიანი შეჩერებითი პერიოდის სამუშაოების დამთავრებას დღეს, გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე 8 საათით ადრე, აბირებენ, რისთვისაც უდავოდ ქება

რაციონალური თესლბრუნვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის გზაა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომა ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში

დღის წესრიგშია დიდმნიშვნელოვანი საკითხი

ამ დღეებში ბოლნისში გაიმართა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის გაფსვლელი სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები და აგრონომები, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მმართველები, მეცნიერები, საპროექტო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. კოლეგიის სხდომა მიმდინარეობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მ. ღვინჯილიას თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი — ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თესლბრუნვის პროექტის განხილვა. ეს მეურნეობა რესპუბლიკაში ცნობილია როგორც ერთ-ერთი მოწინავე. მაგრამ მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლება წარმოადგენელია რაციონალური თესლბრუნვის დაუნერგავად. უკანასკნელ წლებში დაირღვა თესლბრუნვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოელ რიგ შემთხვევებში კი სავსებით ლრკვიდირებულია. ეს მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის დაუმსახურებელი კრიტიკის შედეგი იყო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თესლბრუნვა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციაში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს შესაძლებლობა მიეცათ გამოიყენონ მიწათმოქმედების ის სიხტემა და ის თესლბრუნვა, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამებიან მეურნეობის კონკრეტულ პირობებს, ხელს უწყობენ სახელმწიფო ეგმების წარმატებით შესრულებას.

თესლბრუნვის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნ. კობახიძემ. მან ილაპარაკა მეურნეობის ახლანდელ მდგომარეობაზე, დამსწრეთ გააცნო პერსპექტივები, რომლებიც თესლბრუნვის ათვისების შემდეგ ისახება.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ნორიოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ე. დანელიამ, ბოლნისის სოფლის მეურნეობის საწარმო სამმართველოს უფროსმა ბ. გელერმა, საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიწათმოქმედების კათედრის გამგემ პროფესორმა შ. ბასიშვილმა, ერედვნის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. ქრისტესიანაშვილმა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა პ. ჟღენტმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ. ფალავანდიშვილმა, საქართველოს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა აგრონომმა შ. ებრალიძემ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა და დაამტკიცა ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შიდასამეურნეო მიწათმოწყობისა და თესლბრუნვის დანერგვის პროექტი.

სხდომის შემდეგ მისმა მონაწილეებმა დაათვალიერეს ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის სავარგულები.

საჭირო, სასარგებლო საქმე

პროფესორი პ. ჟღენტი,
სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

◆

უწინარეს ყოვლისა მინდა მივესალმო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივას, რომელმაც კოლეგიის სხდომა საბჭოთა მეურნეობაში გამართა. სხდომის დღის წესრიგი ერთობ აქტიურია: ეხოვრებამ მოითხოვა ადგილდგილა ნათესბალახიანი თესლბრუნვა.

შიგასამეურნეო მიწათმოწყობისა და თესლბრუნვის პროექტის მაგალითით ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შეიძლება დავრწმუნდეთ თუ რა ეკონომიური სარგებლობა მოაქვს ამ სისტემის დანერგვას.

გახსახელავი პროექტი ითვალისწინებს სწორ თესლბრუნვას. მას სიფუძვლად უდვია წარმოების გეფართოება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანის გეგმის შესაბამისად. დასახული მინდვრის კულტურებისა და ფართობების შემადგენლობა, რომლებიც, ერთი მხრივ, საჭიროა სახელმწიფო დამზადების დაკმაყოფილებისა შესასრულებლად, მეორე მხრივ კი მეურნეობის შინაგან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. წარმოდგენილი სქემებიდან ჩანს, თუ რა პროდუქცია, რა რაოდენობითა და რა მინდვრებზე მიიღება. შეიძლება გამოიანგარიშოთ თესლის, მინერალური სასუქების, ტექნიკის, შხამქიმიკატების საჭირო რაოდენობა და სხვ.

თესლბრუნვა წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ მეურნეობის პერსპექტიულ გეგმას, რომელიც შეთანხმებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმასთან. რაციონალური თესლბრუნვა და შიგასამეურნეო მიწათმოწყობა მნიშვნელოვანია, რომ მიწა სრულ წესრიგზე იქნება. პროექტის შედეგებისას ხომ სწავლობენ მეურნეობის საკარგულებს, ნიადაგებს, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს და ამის საფუძველზე ადგენენ რეკას. რეკაზე ასახულია საკარგულების ტრანსფორმაცია, ანუ ის, თუ რა ცვლილებანი მოხდება მათს შემადგენლობაში, სადაა და საღ იქნება გაშენებული ბალახები, სახნავი, ნაჩეენებია მინდვრის თესლბრუნვის საზღვრები, საგზაო ქსელი, მინდორსაცავი ტყის ზოლების განლაგება და სხვ.

ფართო მასშტაბით შემოღებული თესლბრუნვის სისტემა შესაძლებლობას აძლევს რაიონულ, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად კაეტმჯობესონ და გააადვილონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ხელმძღვანელობა.

მინდა შევეხო კიდევ ერთ მომენტს. კოლეგიის სხდომაზე მოხსენება ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თესლბრუნვის პროექტის შესახებ გააკეთა ამ მეურნეობის დირექტორმა ნ. კობახიძემ. მას ღრმად შეუსწავლია ყველა პრინციპული საკითხი და მტკიცედ სწამს ამგვარი წამოწყების დიდი მნიშვნელობა. ეს იმის საწინდარია, რომ პროექტი ქაღალდზე არ დარჩება. ასეთი მაგალითები კი ხომ იყო წინათ, როცა მეურნეობებს აძლევდნენ პროექტებს, რომელთა შემუშავებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა არ მონაწილეობდა.

ვუსურვოთ ბოლნისის საბჭოთა მეურნეობას განეხორციელებინოს ეს ჩინებული პროექტი.

ბარიერულ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო და ფუალსამეურნეო ორგანოებს, ოფლიანი ბალოლას მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის გადიდებისათვის, ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მინდობილ ნიმუშად ნესრიგის დამყარებისათვის, ყოველ კეტარზე უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებიდან.

სერიოზული ამოცანები

შ. ებრალიძე,
საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარი აგრონომი

◆

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა გრანდიოზული ამოცანები დაუსახა ჩვენს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას. პლენუმზე დასახელეს ჩამორჩენის მიზეზები, რომლებმაც თავი იჩინეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ამ ბოლო 10 წლის მანძილზე. დიდი შეცდომები იყო დაშვებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის საკითხებში.

ნათესბალახიანი თესლბრუნვის დაუსაბუთებელი კრიტიკის შედეგად იგი მთელ რესპუბლიკაში დაირღვა. შეწყდა ტყესაცავი სამელიორაციო და ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები. ყოველივე ამან იმოქმედა ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე: შემცირდა მინდვრების, პლანტაციების, ბაღ-ვენახების პროდუქტიულობა, ეროზიის გამო უვარგისი გახდა მიწების ნაწილი, შემცირდა მეცხოველეობის საკვები ბაზა და სხვ.

დადგენილია, რომ ჩვენი მსხვილმრავალდარგოვანი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ვერ განვითარდებიან, თუ არ ექნათ შიდასამეურნეო მიწათმოწყობა თესლბრუნვით.

მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებით ასეთი ფუშაობა რესპუბლიკის 800 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა განხორციელდეს. ამ მეურნეობებში შიგასამეურნეო მიწათმოწყობის დაპროექტება დაკისრა საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს.

ჩვენმა კოლექტივმა 27 საბჭოთა მეურნეობისა და ერთი კოლმეურნეობისათვის შეიმუშავა კომპლექსური შიგასამეურნეო თესლბრუნვიანი მიწათმოწყობის პროექტები. გეგმის დამტკიცებით წარმოებს ასეთი მუშაობა წითელწყაროს რაიონის ექვს გამსხვილებულ კოლმეურნეობაში. დამპროექტებლებს ეხმარებიან რაიონის მიწათმოწყობები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მელიორატორები, გზის ინჟინრები და სხვა სპეციალისტები.

მეურნეობათა ხელმძღვანელებს ესმით, თუ რაოდენ საჭიროა თესლბრუნვა, როგორც მიწათმოქმედების კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ამ ხელმძღვანელებს განეკუთვნება ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. კობახიძე. ამ მეურნეობაში სანიმუშოდ შესრულდა შიგასამეურნეო თესლბრუნვიანი მიწათმოწყობა. პროექტის შემუშავებაში დირექტორი უშუალოდ მონაწილეობდა. მისი დახმარებით დაპროექტდა ბაღ-ვენახები, შეისწავლეს ნათესების სტრუქტურა, დასახეს თესლბრუნვისათვის განკუთვნილი მასივების, ტყესაცავი ზოლების გაანგარიშება, განხორციელდა ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის მაგალითს სხვა მეურნეობებმაც უნდა მიბაძონ.

რაციონალურ თესლბრუნვიანი კომპლექსური შიგასამეურნეო მიწათმოწყობა ძირითადი საშუალებაა უზარმოსავლის მიღებისათვის, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ამაღლებისათვის. (საქდესი).

დავნერგოთ მიწათმოქმედების მაღალი კულტურა

ნ. კობახიძე,
ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

◆

1961 წლის გაზაფხულზე ხუთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ჩვენი საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობაში შრომობენ დაბა ბოლნისის, სოფლების ჯაფარლოს, მიგირლოს, სარალარის, წითელი სოფლის, რატევანის, რაჭისუბნისა და დასასლებული პუნქტის თაპნის მცხოვრებლები.

მეურნეობა მდებარეობს მდინარე მაშავერისა და ფოლადაურის ნაპირებზე, აგრეთვე უკავია თაპანის ზეგანი, სადაც არის სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი.

ნალექი აქ ცოტაა. მისი რაოდენობა აღწევს 450-500 მილიმეტრს წელიწადში, ამასთან ტენის თვიური განაწილება ერთნაირი არ არის. ყველაზე მეტი ნალექი — 60-80-მდე მილიმეტრი — მოდის აპრილში, მაისსა და ივნისში; ივლისსა და აგვისტოში კი 30-35 მილიმეტრს არ აღემატება. იმის გამო, რომ ამ თვეებში ჰაერის ტემპერატურა ყველაზე მაღალია, ნიადაგიდან ტენი ინტენსიურად ორთქლდება. ამრიგად, ეს პერიოდი ყველაზე გვალვიან პერიოდად ითვლება.

შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის შედგენამდე შევისწავლეთ საბჭოთა მეურნეობის ნიადაგები. ეს ნიადაგები ძირითადად ოთხი ტიპისაა: შავმიწა, ტყის ყავისფერი, ძველი ალუვიური და ალუვიური ნიადაგები.

ნიადაგმბრივ-კლიმატური და ბუნებრივი პირობები მიწათმოქმედების განვითარების კარგ შესაძლებლობებს გვიქმნიან. საბჭოთა მეურნეობას აქვს 9.572 ჰექტარი სავარგული, რომლებიც განაწილებულია შემდეგნაირად: სახნავი — 3.207 ჰექტარი, მრავალწლოვანი ნარგავები — 1.020 ჰექტარი, ბუნებრივი სათიბი — 300 ჰექტარი, საძოვრები — 1.400 ჰექტარი, საკარმიდამო ნაკვეთები და სხვა სავარგულები.

1. რვამინდვრიანი თესლბრუნვა 1.904 ჰექტარზე

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და საბჭოთა მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების მიზნით შემუშავებულია შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო საპროექტო დავალება. იგი შეიმუშავეს საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებმა საქართველოს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მუშაკთა დახმარებით. საპროექტო დავალება განიხილეს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში და დაამტკიცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

საპროექტო დავალების შესაბამისად გათვალისწინებულია მომცენარეობის შემდეგი დარგები: მევენახეობა, მებაღეობა და მემინდვრეობა. პროექტის მთლიანად ათვისების შემდეგ ზვრების ფართობი 920 ჰექტარამდე უნდა გადიდდეს, ხეხილის ბაღებისა — 200 ჰექტარამდე, მარცვლეულისა — 3.000 ჰექტარამდე. ცხოველთა სულადობა იქნება: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 600 სული, აქედან ძროხა — 300, ღორი — 500 სული, აქედან ნეზვი — 50; ცხვარი — 3.000 სული, აქედან ნერბი — 2.250.

საცავი ტყის ზოლები, გზები, სამეურნეო ცენტრი და თესლბრუნვა დაპროექტებულია შიდასამეურნეო მიწათმოწყობის ინსტრუქციების შესაბამისად.

საბჭოთა მეურნეობის წარმოების ძირითადი დარგებია მევენახეობა და მებაღეობა, აგრეთვე მეცხოველეობა, რომლის საკვებ ბაზას სასაქონლო მარცვლის წარმოებასთან ერთად უზრუნველყოფს მემინდვრეობა.

საბჭოთა მეურნეობის ასეთი სპეციალიზაცია სავსებით შეესაბამება იმ ამოცანას, რომ მოვამარაგოთ ქალაქ თბილისის მოსახლეობა ყურძნით, ხილითა და მეცხოველეობის პროდუქტებით.

ახლა ზვრებს უკავია 807 ჰექტარი, აქედან სრულმოსავლიანია 450 ჰექტარი. ვენახები, ისევე როგორც დანარჩენი კულტურების ფართობები, დაყოფილია შვიდ განყოფილებად, სადაც მუშაობს 21 ბრიგადა. პროექტი ითვალისწინებს 67 ჰექტარი ამორტიზებული ვენახის ლიკვიდაციას და მის ნაცვლად 174 ჰექტარი ახალი ზვრების გაშენებას. ამრიგად, პროექტის ათვისების პერიოდში ვენახების ფართობი 914 ჰექტარამდე გადიდდება. საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი მიაღწევს 60 ცენტნერს. მაშასადამე იმ დროისათვის მეურნეობა აწარმოებს 5.466 ტონა ყურძენს და მიიღებს 2.411 ათას მანეთ შემოსავალს, რაც საბჭოთა მეურნეობის საერთო შემოსავლის 74,7 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად შემცირდება ყურძნის თვითღირებულება.

პროექტის ათვისების პერიოდში ხეხილის ბაღების ფართობი 200 ჰექტარამდე გადიდდება ნაცვლად ახლანდელი 150 ჰექტარისა. კურკოვანთა და თესლოვანთა საერთო მოსავალი 910 ტონას გადააჭარბებს, მეურნეობა ამ დარგისაგან მიიღებს 298 ათას მანეთ შემოსავალს, რაც საერთო შემოსავლის 9,25 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა მეურნეობის დიდმნიშვნელოვან დარგად ითვლება მეცხოველეობა. აქ ჰყავთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი და ცხვარი. ამჟამად საბჭოთა მეურნეობაში არის 1.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 320 ძროხა. საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა შეადგენს 1.600 ლიტრს. ღორი არის 1.000 სული, აქედან 80 ნეზვი. საბჭოთა მეურნეობის ფარაში 2.000 ცხვარია.

პროექტის ათვისების პროცესში გათვალისწინებულია მეცხოველეობის ზოგიერთი დარგის შემცირება, მაგრამ გათვალისწინებულია პროდუქტიულობის ზრდა, რის შედეგად გადიდდება მეცხოველეობის შემოსავალი. მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით საბჭოთა მეურნეობა მიიღებს 375 ათას მანეთს, რაც საერთო შემოსავლის 11,7 პროცენტს შეადგენს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად რადიკალური საშუალებაა მინდვრის კულტურების წარმოება სარწყავ მიწებზე. მაგრამ მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე ჩვენი მინდვრები არ მოირწყვება. ამიტომ პროექტით გათვალისწინებულია მემინდვრეობის განვითარება ურწყავ მიწებზე და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება. ნიადაგის სწორად დამუშავება მიწის გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამის შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს მზრალად ხვნას ოპტიმალურ ვადებში. ძლიერ დასარეცლიანებული და გვალვიანი ნიადაგები ანეულად დარჩება. ნაკლებ გამოფიტულ და გვალვიან ნიადაგებზე პროექტი ითვალისწინებს ნათესბალახიან თესლბრუნვას — ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი ნაყოფიერების გადიდების ამ რადიკალურ საშუალებას. პროექტის შესაბამისად დაინერგება სამი სახეობის თესლბრუნვა:



სასოფლო სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი ცენტნერებში /1965-1970-1980 წწ/			
¹/₂	კულტურების დასახელება	1965	1970	1980
1	შემოდგომის ხორბალი	162320	79920	118350
2	მემოდგომის ქერი	26090	76380	115050
3	სიმინდი მარცვლად	22400	24500	24500
4	სიმინდი სასილოსე	247080	274500	27450
5	სიმინდი მწვანე საკვებად	-	464400	464400
6	საკვები ჭარხალი	-	62500	70000
7	ყურძენი	185500	378330	546600
8	ხილი თესლოვანი	5860	36900	41000
9	ხილი კურკოვანი	-	45000	50000



¹/₂	¹/₂		
1	ანეული	116,87	21,7
2	საშემოდგომო ქერი/	324,67	60,1
3	სამარცვლე სიმინდი	98,46	18,2
		540	100

მესამე სქემა

1	ანეული	55	14,5
2	საშემოდგომო ქერი	213	57,6
3	სიმინდი მწვანე საკვებად	103	27,9
		371	100

ნათესების სტრუქტურა სამივე თესლბრუნვაში:

1	საშემოდგომო ხორბალი	707,6	25,4
2	საშემოდგომო ქერი	864,27	27,4
3	მრავალწლოვანი ბალახები	502,8	17,5
4	სამარცვლე სიმინდი	98,46	3,5
5	სიმინდი სასილოსედ და მწვანე საკვებად	570,0	20,1
6	ანეული	171,87	6,1
		2.915	100

პერსპექტიულად სათესი ფართობის სტრუქტურა იცვლება მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად. კერძოდ, ხორბლის ნათესი მცირდება 746 ჰექტარით, ხოლო მის ხარჯზე საგრძნობლად მატულობს მრავალწლოვანი ბალახების ფართობები — 502 ჰექტარით, ქერისა — 473, სასილოსე ნათესები — 177 ჰექტარით, რომელთაც ზედის 172 ჰექტარი ანეული.

თესლბრუნვის დანერგვისა და მაღალხარისხოვან აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შემდგომში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა მიაღწევს: საშემოდგომო ხორბლისა და ქერისა — 15 ცენტნერს, ნაცვლად შარშანდელი 10 ცენტნერისა, სიმინდის მარცვლისა — 25 ცენტნერს, ნაცვლად 10-12 ცენტნერისა, სასილოსე კულტურებისა — 250 ცენტნერს, ნაცვლად 60-65 ცენტნერისა. საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდის — ხორბალს — 956 ტონას, ქერს — 186 ტონას, ნათესი ბალახების თივას — 424 ტონას. ეს მაშინ, როცა წინა წლებში მეურნეობა ამზადებდა სულ 610 ტონას.

მეცხოველეობა უზრუნველყოფილი იქნება სრულფასოვანი საკვებით. იგი მიიღებს 737 ტონა ქერს, 223 ტონა სიმინდს, 2.746 ტონა სიმინდის სილოსს, 700 ტონა საკვებ ჭარხალს, 46.640 ტონა მწვანე საკვებს, 681 ტონა ნათესი ბალახების თივას.

ბოლნისის რაიონისთვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად პროექტით გათვალისწინებულია სხვადასხვა კულტურის თესლით უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობა.

მინერალური სასუქების სახეობანი და მათი დოზირება აღებულია იმ კვლევის შედეგად, რომელიც საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა განახორციელა ბოლნისის რაიონში.

პროექტში გათვალისწინებულია მეურნეობის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, იარაღებსა და სხვა ტექნიკაზე.

ამჟამად ჩვენი საბჭოთა მეურნეობის შიდასამეურნეო მიწათმოწყობა რელიეფის, ნიადაგებისა და მეურნეობის სწორი ორგანიზაციის გათვალისწინებით უკვე დამთავრდა. დასახული სამი თესლბრუნვისათვის უკვე შერჩეულია შესაფერისი მინდვრის მასივები, რომლებიც დაყოფილია საჭირო ნაკვეთებად და თითოეულ ცალკეულ მინდორზე ჩასმულია ცემენტის პატარა ბოძები, რომლებზეც აღნიშნულია თესლბრუნვის, მინდვრისა და ნაკვეთის ნომრები.

შიდასამეურნეო მიწათმოწყობის განხორციელებისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ცენტრის, დაბების, გზების, მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებელი ნაკვეთები. მთელ ტერიტორიაზე დაპროექტებულია ოთხმწკრივა ძირითადი დამცავი ტყის ზოლები და ორმწკრივა დამხმარე ზოლები. ძირითადი ზოლები შენდება გაბატონებული ქარების მიმართულების პერპენდიკულარულად, ხოლო დამხმარე — პარალელურად. ძირითადი მინდორსაცავი ზოლები განლაგდება 300-350 მეტრის დაშორებით, ხოლო დამხმარე — 600-700 მეტრის დაშორებით. მწკრივთშორისებს ექნებათ 2 მეტრი სიგანე, ხოლო მანძილი ხეებს შორის — 1,5 მეტრი. მინდორსაცავი ტყის ზოლები დაპროექტებულია გზისპირებისა და არხების გაყოლებით. მათი სიგრძე შეადგენს 50 კილომეტრს, ხოლო სიგანე 10 მეტრს. ამრიგად, ზოლები დაიკავებენ 50 ჰექტარს. მათ შესაქმნელად საჭიროა 140 ათასი ნერგი — ჰექტარზე 2.800 ცალი. დამხმარე ტყის ზოლებისათვის, რომელთა სიგრძე 27 კილომეტრია, სიგანე 6 მეტრი და უკავიათ 16 ჰექტარი, საჭირო იქნება 37 ათასი ნერგი. სულ, მაშასადამე, საჭიროა 177 ათასი ნერგი. ძირითადი ტყის ზოლების ჯიშობრივ შემადგენლობად არჩეულია: თელა, ნეკერჩხალი და იაპონური სოფორა, ხოლო დამხმარე ზოლებისათვის — თუთა და პანტა.

ტყის ზოლები უკვე მიმდინარე ხუთწლედში უნდა გაშენდეს.

იმის გამო, რომ მემინდვრეობაში ტვირთზიდვა პერიოდულად ხდება — სახნავ-სათესი სამუშაოებისა და სასუქების შეტანის დროს, აგრეთვე მოსავლის აღების პერიოდში, — დაპროექტებულია 27 კილომეტრი გრუნტიანი გზა. ვენახებში კი 4,5 კილომეტრი გზა დაიფარება ხრეშისა და ღორღის 20 სანტიმეტრიანი ფენით. გზების სიგანე სოფლისათვის მიღებული ნორმების თანახმად 6 მეტრი იქნება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები უკვე შეუდგნენ პროექტის განხორციელებას: შემოფარგლეს თესლბრუნვის მინდვრების მიჯნები, მონიშნეს ტყის ზოლები, ბაღ-ვენახებისათვის გამოყოფილი ნაკვეთები და პროექტის სხვა ელემენტები.

* * *

სურათზე: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტში მიმდინარეობს რაციონალური თესლბრუნვის პროექტის განხილვა. (მარცხნიდან მარჯვნივ) ინსტიტუტის მთავარი აგრონომი შ. ებრალიძე, ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი ს. ალიბეგაშვილი, მიწათმშენებელი პარტიის უფროსი პ. კობახიძე, ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. კობახიძე, რაციონალური თესლბრუნვის პროექტის მთავარი ინჟინერი ნ. ტურაბელიძე, ინსტიტუტის დირექტორი გ. შენგელია, პროექტის ავტორი რ. რეზვიაშვილი და ინსტიტუტის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი პ. ჯავახიშვილი პროექტის განხილვის დროს.

ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შიდასამეურნეო მიწათმოწყობის გეგმა.

ფოტო ი. დავითაშვილისა, ი. მღებრიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

დეპუტატ შ. ე. ბუხრაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომდინარე სესია შეიტრიბა ღირსშესანიშნავ დროს — დიადწო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო, 50-ე წელი. ქართველი ხალხი, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი აქტიურად ემზადება ამ ღირსშესანიშნავი იუბილესათვის, რომელსაც მსოფლიოისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისწრაფვის შეხვდეს ამ თარიღს ახალი შრომითი გამარჯვებებით კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მომდინარე წლის — ახალი ხუთწლედის პირველი წლის თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 23 ყრილობა, რომელმაც ახალი დიდებული ბრძოლანები დასახა ჩვენი ქვეყნის უახლესი წლების პოლიტიკურ-ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში.

ქართველი ხალხისათვის ეს წელი გამორჩეულია ღირსშესანიშნავი იყო იმითაც, რომ ახალი წლის წინა დღეებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული შრომატევადობისათვის დაჯილდოდა მეორე ლენინის ორდენით. ხოლო სკკპ XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა ოცი ჯგუფი. ეს წელი აღინიშნა კიდევ ერთი თვალსაჩინო მოვლენით ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენი სამშობლოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხებმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ამ იუბილეს დღეებში დაუვიწყარი ამბავი იყო ის, რომ შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დადგა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინიციატივით, გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ-მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგო დეპუტატებო! 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც ჩამოყალიბებულნი დეპუტატების — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბაიბაკოვისა და ფინანსთა მინისტრის ამხ. გარბუზოვის მოხსენებებია, მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისა და გაძლიერების ამოცანებს.

ჩვენ განვლილი ახალი ხუთწლედის ბოლო თვეების მეხუთედი და 1966 წლის მუშაობის შედეგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოცემული, მკაფიოდ მეტყველებენ, თუ რა მნიშვნელოვანი ეტაპია ამ გადაწყვეტილებებს, რომლეც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ამ ბოლო წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) ენერგიის შემდეგ.

საბჭოთა ხალხი ძალღონეს არ იშურებს სულ ახალახალი შრომითი წარმატებების მოპოვებისთვის ბრძოლაში. ეს მიღწევები მას ამისთვის სჭირდება, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, უფრო სწრაფად აშენოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო სრულად დახმარება გაუწიოს კოლონიური ნორმიდან განთავისუფლებულ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ეროვნული ნორმიდან განთავისუფლებისათვის, ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, და, უწინარეს ყოვლისა ყოველმხრივ სულ უფრო მარდად დახმარება გაუწიოს ამერიკელ ტანჯულ ხალხს, რომელიც აწარებს სამართლიან ბრძოლას ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ქალაქის ხალხთა ძმურ ოჯახში სოციალისტური ეროვნული სახელმწიფოებრივი ფორმა ეკონომიკურ-კულტურული ინტენსიურობა, ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული ურთიერთობანი

ღვაწლმოსილი მოამაგე

პროფესორ მ. გორგაძის დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი

◆

ფიზიკური კულტურის ისტორიის კვლევით არაერთი მეცნიერი იყო დაინტერესებული. იქმნებოდა ცალკეული შრომები ამა თუ იმ ვარჯიშისა და ფიზიკური აღზრდის სისტემის წარმოშობაზე, მაგრამ სპორტის ისტორიაში — დიდი ხნის მანძილზე არ გაგვაჩნდა სახელმძღვანელო, სადაც ასახული იქნებოდა როგორც საზღვარგარეთის, ისე ჩვენი ქვეყნის სპორტული მოძრაობის ისტორია.

პირველად ასეთი სახელმძღვანელო ჩვენს ქვეყანაში 1940 წელს გამოვიდა. და ამ პირველი სქელტანიანი წიგნის ავტორი იყო პროფესორი **მიხეილ ანთიმოზის-ძე გორგაძე,** რომელიც ითვლება საბჭოთა სპორტის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად. მას შემდეგ სპორტის ისტორიით დაინტერესებულმა დაწესებულებებმა და პირებმა მიიღეს **მ. გორგაძის** ათობით გამოკვლევა, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რომლებიც დიდ სამსახურს გვიწევს არა მარტო ჩვენი სპორტის წარსულის დადგენაში, არამედ თანამედროვე ფიზკულტურული მოძრაობის მთელი რიგი საკითხების სწორად წარმართვაში.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად **მ. გორგაძემ** დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკულტურული მოძრაობის განვითარებას — მისი ხელმძღვანელობით 1931 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის (ამჟამად აზერბაიჯანის) ფიზიკულტურის ინსტიტუტი, 1933 წელს — ფიზკულტურის ტექნიკუმი თბილისში, 1935 წელს — ფიზკულტურის ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხოლო 1938 წელს ფიზიკური კულტურის დამოუკიდებელი ინსტიტუტი. ყველა ამ დაწესებულებაში **მ. გორგაძეს** მეტად პასუხსაგები სამუშაოები ჰქონდა მინდობილი. 1945 წლიდან კი მთელი ათი წლის განმავლობაში იგი ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო.

პროფესორ **მ. გორგაძის** მიერ აღზრდილი პედაგოგები, მწვრთნელები და მეცნიერი მუშაკები დღეს ბურჯად უდგანან ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობას. მათი უხუცესი პედაგოგი კი კვლავ ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. იგი საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრას ხელმძღვანელობს.

მხცოვანი მეცნიერისათვის ყოველთვის ტკბილმოსაგონრად რჩება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები, როდესაც მას დავალებული ჰქონდა პასუხსაგები სამუშაო ბავშვთა კომუნისტური აღზრდის დარგში. ამ საკითხზე მან შექმნა ათამდე საინტერესო ნაშრომი, რომლებსაც წარმატებით იყენებდნენ საქართველოს პიონერთა შორის ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელები.

პროფესორი **მ. გორგაძე** ერთი წუთითაც არ წყვეტს სასარგებლო მოღვაწეობას. ალბათ ჩვენი ერის სპორტული წარსულისა და თანამედროვე ფიზკულტურული მოძრაობისადმი მისი უდიდესი სიყვარულის გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ 70 წლის ასაკში მან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმი, რომელსაც თვითვე ჩაუდგა სათავეში.

საქართველოს სპორტული მოძრაობის მრავალთასიანი არმია, მეცნიერ მუშაკთა წრეები, ჩვენი სპორტსმენები ჯანმრთელობასა და ბედნიერებას უსურვებენ ღვაწლმოსილ მეცნიერს და მოელიან, რომ იგი კიდევ ბევრს გააკეთებს ჩვენი ერის კულტურისა და, კერძოდ, ფიზიკური კულტურის შემდგომი თეორიული და პრაქტიკული განმტკიცებისათვის.

ს. ნარიკაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

თეატრალური ქრონიკა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა სეზონის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის კომედია „შაითან ხიხო“.

ჰიკოურა. (საკ. კორ.). აფ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა შ. როყვას „დედა“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ხ. ცომაიამ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის ფალავა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ერთ კვირაზე მეტს მიმდინარეობდა მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. ამ ხნის განმავლობაში მახარაძელებმა ზუგდიდელებს უჩვენეს თავიანთი საუკეთესო დადგმები — გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“, გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო“, გ. ნიშნიანიძის „ვისთან არის მაკო?“, კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით“, გ. ჭელიძის „როცა ეკალი იჩხვლიტება“ და ბ. ლავრენიევის „რლვევა“.



ახალი ამბები

ვინ მოიპოვებს პრიზს?

ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი თბილისში

ორი დღეა თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი.

პირველი დღის სიურპრიზის შემდეგ (საქართველოს ხელბურთელებმა დამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები 15:14). სპორტის მოყვარულებს აინტერესებდათ თუ როგორ წარმართავდა იუგოსლავიისა და ჩვენი რესპუბლიკის გუნდების ორთაბრძოლა.

იუგოსლავები აგრესიულად იყენებენ განწყობილი, მაგრამ დასაწყისი მათ კარგს არაფერს უქადდა. ანგარიში პირველ წუთზე **კარტოზიამ** გახსნა. 2 წუთის შემდეგ **ზარდალიშვილმა** მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, ხოლო მეშვიდე წუთზე მანვე (შვიდმეტრიანი, საჯარიმო ტყორცნით) და **ანთაძემ** ანგარიში 4:0 გახადეს.

შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები ადვილად გაუსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეს. მაგრამ მოხდა პირიქით — ჯერ იუგოსლავებმა წონასწორობა აღადგინეს 8:8, შემდეგ კი დაწინაურდნენ და მოიგეს ტაიმი 17:9.

საქართველოს ხელბურთელებმა ვერც მეორე ტაიმში შეძლეს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და წააგეს მატჩი 22:29.

ყურადღების ცენტრში იდგა უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებთა პაექრობა. მატჩის სიმძაფრეზე ისიც მეტყველებდა, რომ მე-9 წუთამდე მეტოქეებს კარი არ აუღიათ. ანგარიში **ცერცვაძემ** გახსნა, მეათე წუთზე უნგრელებმა წონასწორობა აღადგინეს — 1:1. ამის შემდეგ ტაბლოზე რიგრიგობით ეხეიდავდნენ ანგარიშებს 2:2, 3:3, 5:5, 6:6, შემდეგ კი დაწინაურდნენ უნგრელები, რომლებმაც მოიგეს ტაიმი 11:7.

მეორე ნახევარში ბრძოლა გაძწვავდა. მართალია, საბჭოთა ნაკრებმა შეამცირა ტულათა სხვაობა, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა — 17:19.

ამრიგად, წაუგებლად მხოლოდ უნგრეთის გუნდი იბრძვის. დღეს გაიმართება უკანასკნელი მატჩები.

ჩემპიონად დაგვიბრუნდა

არც თუ დიდი ხნის წინათ, მოჰაერაკეთა ვიწრო წრემ გააცილა ჩვენი ოთხეული კიევში XXVI ჩემპიონატზე, ბევრი გულშემატკივარი მყავდა თვითეულ მათგანს, მაგრამ **ნანასადმი** სიმპათიამ მოლოდინს გადააჭარბა, მისმა შემტევმა თამაშმა კი მაყურებლები დაატკვევა.

ცამეტი ერთიანი სატურნირო ცხრილში, 17 წლის ასაკში ჩემპიონობა — ასეთი რამ ჯერ არ ახსოვს ქალთა ხაჭადრაკო პირველობას. **ნანას** ნიჭში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ერთდროულად პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობასა და ჩემპიონობას, მას შემდეგ, რაც მან სტარტზე ორჯერ წაიბორძიკა, მეტად მცირე წრე თუ მოელოდა.

და აი გუშინ ჩვენი თანამემამულე — სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი **ნანა ალექსანდრია** თბილისში დაბრუნდა. რკინიგზის სადგური სავსე იყო ჭადრაკის მოყვარულებით, მოჭადრაკეებით, მახლობლებით, ამხანაგებით, მეგობრებით. ჩემპიონს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, თაიგულები უძღვნეს. სსრ კავშირის ჩემპიონს **ნ. ალექსანდრიას** პირველად წარმატება მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა** მიულოცა.

ჩვენმა ნანამ ოქროს მედალთან ერთად ოთხი სპეციალური პრიზი ჩამოიტანა. ჩემპიონი მადლობას უხდიდა ყველა იმათ, ვინც მას ხელს უწყობდა დიდი მიზნების განხორციელებაში.

„გაისად ორი დიდი პაექრობა მელოდა, — განაცხადა **ნ. ალექსანდრიამ.** ეს არის გოგონათა მსოფლიოს პირველობა და პრეტენდენტთა ტურნირი. ვეცდები გავამართლო ნდობა, იმედები.

სურათზე: წინა პლანზე (მარცხნიდან) ნონა გაფრინდაშვილი, ბუხუტი გორგიჯანიძე და ნანა ალექსანდრია თბილისის ვაგზლის ბაქანზე.

ფოტო ვლ. **გინზბურგისა.**

ჯოეტი და დრამატურგი

ილო მოსაშვილის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად

ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილო მოსაშვილის დაბადების 70 წლისთავს.

ეშმარიტი პატრიოტული მგზნებარებითა და დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომით ილო მოსაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიისა და დრამატული მწერლობის განვითარებაში, იგი მუდამ განუყოფლად იყო დაკავშირებული ჩვენს ცხოვრებასთან.

საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით ილო მოსაშვილის თხზულებათა კრებული გამოიცემა 3 ტომად.

ზეგ, 23 დეკემბერს, რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება ილო მოსაშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

ამ თარიღს აღნიშნავენ აგრეთვე პოეტის სამშობლო ქალაქ სიღნაღში.

ბავშვების დიდი მეგობარი

100 წელი შესრულდა ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის, მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის ბ. ლ. შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილი) დაბადებიდან. პოეტის მთელი ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა ხალხის, სამშობლოს ერთგული სამსახურის ნათელი მაგალითია. შიო მღვიმელმა შშობლიური ლიტერატურა გამდიდრა შესანიშნავი ნაწარმოებებით, რომლებზედაც იზრდებოდნენ და იზრდებიან ბავშვები. მისი ნაწარმოებები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და მოსწავლეთა განუყრელი თანამგზავრები არიან, უფერგავენ მათ მეგობრობის გრძნობას, სამართლიანობას, შშობლიური მიწა-წყლის სიყვარულს.

19 დეკემბერს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა შიო მღვიმელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, პოეტმა **ხუტა ბერულავამ.**

შიო მღვიმელის საუკეთესო ლექსებმა გაუძღვნა ყმთა ვითარებას. იცვლება თაობები, იცვლება გემოვნება, მაგრამ შიო მღვიმელის პოეზია ყოველთვის საყვარელი და ახლობელია ნორჩი თაობისათვის.

საღამოზე მოვიდნენ ყველაზე პატარები — თბილისის პირველი ელ. საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. და სცენას თითქოს გაზაფხულის ყვავილები მოეფინა. ბავშვებმა აჩვენეს ძია შიოს ლექსის „ნაბიჯ და წკაპას“ ინსცენირება, შეასრულეს სიმღერები, წაიკითხეს საყვარელი პოეტის ლექსები.

მოხსენება შიო მღვიმელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა პოეტმა **გ. კაჭახიძემ.**

დიდი ინტერესით მოისმინეს პოეტის მეგობრების — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ნ. კეცხოველის,** უხუცესი ქართველი მწერლის **ს. შანშიაშვილის** მოგონებანი შიო მღვიმელზე.

საღამოზე გამოვიდნენ განათლების მინისტრის მოადგილე პროფესორი **უ. ობოლაძე,** საქართველოს აღკვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ლადიძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **ს. ჭილაია,** მწერალი **დ. შენგელაია,** ჟურნალ „ლილას“ რედაქტორი პოეტი **ჯ. ჩარკვიანი,** ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მწერალი **მ. ბარათაშვილი.**

შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა **ა. ონლელმა, ვ. გორგანელმა, თ. ჯანგულაშვილმა.**

საღამოს დასასრულს კვლავ გაისმა ნორჩების — თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთა წკრიალა ხმები. ისინი გატაცებით კითხულობდნენ საყვარელი პოეტის ლექსებს.

შიო მღვიმელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი იანვრის დამლევამდე გასტანს. პოეტისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება მის შშობლიურ სოფელ ბერეთში (ქარელის რაიონი). თბილისის ერთეულ სკოლას დაერქმევა შიო მღვიმელის სახელი, პოეტის საფლავზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდებების პანთეონში დადგმება ძეგლი. მკითხველები მიიღებენ პოეტის რჩეულ ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე. გორში, ქარელში, ქუთაისში, სოხუმში, თელავში, მახარაძეში იქნება შიო მღვიმელის სახელობის ქუჩები.

(საქმენი)

ბაკურიანი

ბაკურიანი ბაკურიანი ბაკურიანი